პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (18695) კვირა, 3 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ალზრდის ქმედითი ინსტრუმენტი

3 ივლისი საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეა!

ფოთელ დოკერთა მიჯნები

მძლავრი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფოთის ნავსადგური დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს. დოკერები თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ხვდებიან ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებული შესრულებით. მიმდინარე წლის ხუთ თვეში გადამუშავებულია 11.076 ათასი ტონა სასურსათო ტვირთი. ეს გეგმით გათვალისწინებულზე 15 ათასი ტონით მეტია. პროგრესული მეთოდით — ტრიუმი-ვაგონი მომუშავე რკინიგზის ტრანსპორტის დგომის დროს დაზოგილია 25.289 ვაგონსაათი. მაღალი მიჯნები დაისახეს დოკერებმა ხუთწლედის მესამე წელს.

სურათებზე: პირველი საწარმოო რაიონის უფროსის მოადგილე სერგი ხიმონოვი დავალებას აძლევს დოკერ-მექანიზატორს გურამ მიმინოშვილს. ასე გამოიყურება დღეს ფოთის ნავსადგური — საქართველოს საზღვაო ჰიშკარი;

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სამზეო სახელოები

ეროვნული ... ...

ამ დილით მასთან რომ შევედი, იგი ცვლის ჟურნალში ღამის მანძილზე გაკეთებულ ჩანაწერებს ჩაკირკიტებდა. აქვე იყვნენ ცვლის უფროსი გურამ ბახილაშვილი, უფროსი ოსტატი მირიან ნადარაია და მწონავ-მოანგარიშეთა ბრიგადის ხელმძღვანელი თამარ ზაალიშვილი.

სულ ათოოდე წუთს გაგრძელებული ოპერატიული თათბირის მიხედვით დაასკვნიდით, რომ ჩვენ წინაშე იყო წარმოების საქმეში ღრმად ჩახედული, კომპეტენტური ახალგაზრდა ხელმძღვანელი.

საამქროს სარეულებშეა სიარულში მრავალ ადამიანს, ხელმძღვანელს თუ მუშას გავეცანით და გამოველაპარაკეთ. იქვე შევხვდით გაერთიანების გენერალურ დირექტორ ედუარდ კურალეიშვილს. ჩვენი მოკლე საუბარი გაერთიანების მომავალს შეეხო.

— მართლაც შესანიშნავი ბალხი გვყავს, — თქვა მან.— ეს უპირველესად მათი დამსახურებაა, დღეს გეგმის შესრულების პრობლემა რომ აღარ გვაწუხებს. მთელი ჩვენი საზრუნავი ახლა ხარისხს უტრიალებს...

დირექტორს ვემშვიდობები, რომ თამაზ ქვარცხავას კვალი არ დამეკარგოს. გზას კვლავ ერთად განვაგრძობთ. ყოველ ნაბიჯზე ახალი სახეები, სახელდახელო გაცნობა. აი, წარმოების უფროსი ზაურ ქიტაიშვილი, ისიც ახალგაზრდა კაცი. ტანმაღალი, სანდომიანი სახის ქალი კი დეხინატორი ნუნუ ცერცვაძე აღმოჩნდა. პატარა სამუშაო კაბინეტში შეგვიძღვა, აბრეშუმის ქსოვის ნიმუშთა ალბომები გადმოგვიღო. ნელ-ნელი ვზლი, და თითქოს ყდებიდან ცისარტყელები ამოკიაფდნენ.

მაინც რა მიმზიდველია აბრეშუმის სისალუქე და ფაქტურა.

საქმის ორგანიზატორი

ორგანიზატორი, რომელიც თავისუფლად და მშვიდად წყვეტდა საკითხებს.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ყველაზე დიდი მეთაური საქსოვი კორპუსის შემოვლა შუა სართულიდან დავიწყეთ. როგორც კი საამქროს კარი შევაღეთ, დაზგების ერთიანმა გრიალმა გამაყრუა.

ღამის ცვლაში გაჯიუტებულ ავტომატურ საქსოვ დაზგასთან აღმოვჩნდით. გურამი და მირიანი თავზე ადგნენ მექანიკოსებს, რომლებიც ცენტრალური კვანძის ამოღებაზე წვალობდნენ. საამქროს უფროსმა როგორც კი დახედა, თქვა — ამდენი გრადუსი გვერდზე გადააადგილეთ და ამოვაო. შემდეგ მეზობლად გაჩერებულ მეორე დაზგასთან გაჩნდა. მექანიკოსმა ხადღაც, სილრმეში, მიუთითა — რომელიღაც დგომის თვალი კაპრონს წარამარა წყვეტს, არ ვიცი კი რატომაო. ალბათ იხევ კაპრონის ძაფის მიზეზით, მიუგო თამაზმა, დაზგაზე გადაწვა და წუთის შემდეგ ხელში ეჭირა წუნის გამომწვევი დგომის ლითონის თვალი.

— აბა, აქ დაუსვი თითი!— მიმართა ოსტატს. — ნახე, ლითონსაც კი მორევია, ოსტატმა შეამოწმა და თავი გადააქნია: — როგორ ჩაუხედია!

ორადოვნება, ადამიანის ცხოვრებას უხსოვარი დროიდან რომ ამშვენებს. საუკუნეთა მტვერმა და ნაცარმა დაფარა ხალმარი ეტლებისა და ლაშქართა ნაკვალევები, „აბრეშუმის გზის“ ტრასების ხსოვნა და კვალი კი დღემდე შემოგვრჩენია. იგი თავის დროზე საქართველოს მთა-ველებზე გადიოდა და ჩვენებური აბრეშუმის ღირსება ქვეყნიერების ყველა მხარეში გაჰქონდა.

თუმცა, რატომ უნდა ვილაპარაკოთ წარსულ დროში! გაერთიანების ამ მეთაურ საწარმოში ერთი დღით ყოფნაც დაგარწმუნებთ, რომ ქართული აბრეშუმის კეთილი სახელი და ღირსება კვლავაც ფასობს. თავად განსაჯეთ, მარტო აქ ყოველწლიურად 720 ათასი მეტრი აბრეშუმი იქსოვება და საამიხო ნედლეულიც მთლიანად ქართული ყოფილა, თელავისა და სამტრედიის ძაფის ფაბრიკებიდან მიღებული.

იმასაც დაადგენთ, რომ „აბრეშუმის გზები“ არა თუ არ მოშლილა, უფრო დაგრძელებულა და დაქსელილა.

ამ ჩანახატის გმირიც მშრომელ ადამიანთა ლაშქარს ეკუთვნის. იგი პატიოსანი შრომის ატმოსფეროშია გაზრდილი. თამაზ ქვარცხავას მამაც ინჟინერი გახლავთ, ოღონდ მშენებელი. დედა მედიცინის ემსახურებოდა. პენსიაზე... ...ლამდე. მეუღლე ... ...ეკონომი ბყავს, სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებს და ორ პატარა გოგონასაც ზრდის.

თამაზისათვის სწავლა და გარჯა თავიდანვე ერომანეთთან იყო შერწყმული ორგანულად. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ შესულა, ორი წელი მშობლიური ჩხოროწყუს რაიონში უმუშავია მშენებლობაზე, შემდეგ კი ფაბრიკაში მოსულა, მომავალი სპეციალობის გათვალისწინებით. თავდაპირველად უბრალო მდებავი ყოფილა, შემდეგ მომსკვნელი. სულ რაღაც 5 წელიწადში ცვლის უფროსობა მიუნდვიათ, პარტიის რიგებშიც მიუღიათ, ინჟინერ-ტექნიკოსის დიპლომით აღჭურვილი ახალგაზრდა დაზგა-დანადგარების უფროს ოსტატად გადაუყვანიათ, 1980 წლის აპრილიდან კი ყველაზე მთავარ — 500-კაციან საამქროს ჩახდგომია სათავეში. თუ რაოდენ ღირსეულად ირომეოს თავს მინდობილ საქმეს, ამაში, ვგონებ, მკითხველიც დარწმუნდა.

ტრადიციულ შეკითხვას, თუ რა განაპირობებს საამქროს კოლექტივის თვალსაჩინო წარმატებებს, ახალგაზრდა ინჟინერი თავშეკავებულად გვიპასუხებს:

— არაფერი განსაკუთრებული!.. უბრალოდ, მივადწიეთ დაზგების სრულ გამართულობას, მოცდენების მინიმუმამდე შემცირებას. მოვაწესრიგეთ ტექნიკური სწავლება უშუალოდ სამუშაო უბანზე, ვეტერანებსა და ახალგაზრდებს შორის სრული ურთიერთგაგება სუფევს... ჩვენთან უკვე ხალიხით მოდიან უმაღლესი თუ საშუალო ტექნიკური განათლებით აღჭურვილი ახალგაზრდები, სწამთ, რომ პატიოსანი შრომა დაუფასდებათ.

თამაზ ქვარცხავას ავტორიტეტი სამოთახიან კოლექტივში არა მარტო მის პროფესიულ ცოდნასა და ხელმძღვანელის უნარს ემყარება, არამედ ჩინებულ პიროვნულ ღირსებებსაც. იგი ყველას უშურველად უზიარებს თავის ცოდნა-გამოცდილებას და ადამიანურ გულის სითბოს, ყურადღებას. იგი მრავალმხრივ შიხაბად ხელმძღვანელად ჩამოყალიბებულა.

ხასიათოვნო იყო იმაში დარწმუნებაც, რომ თამაზ ქვარცხავა სპეციალობის ვიწრო ჩარჩოებში არ იკეტება. თურმე, გატაცებით კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, უყვარს თეატრი, მუსიკა, სპორტი. ერთი სიტყვით, ხაზოგადოების ღირსეული შვილი გახლავთ — შრომისმოყვარე, გონებაგახსნილი მრავალმხრივი სულიერი ინტერესებით აღსავსე, გულისხმიერი შვილი, შამა, მეუღლე და მეგობარი.

გვიმრავლოს ასეთები!

ილია რურუა.

გულს გული იცნობს

გივი დვალიშვილი,

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები სტავროპოლის მხარეში, რომლის მონაწილეც გახლდით, ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო. გფიქრობ, არ ვაჭარბებ, ასევე შეუძლია თქვას ამ დღეების მონაწილე ყველა ჩემმა თანამემამულემ.

გულთბილი შეხვედრები, დიდი ინტერესი ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, რაც მთავარია, ქართველი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მიმართ ჩანდა ყველგან და ყველაფერში, იგრძნობოდა, რომ მხარე, მისი მშრომელები საფუძვლიანად მომზადნენ ამ მართალაცდა ჩვენი საერთო დღესასწაულისათვის. მათ უამრავი რამ იცოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების დღევანდელი დღის, ჩვენი კულტურის, ლიტერატურის შესახებ. ლაპარაკობდნენ სიყვარულით, პატივისცემით, შეხვედრებსა და საუბრებში თვალნათლივ ჩანდა, რაოდენ მაღალია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი ხელმძღვანელობის ავტორიტეტი, რა ინტერესით ადევნებენ თვალს იმ პოზიტიურ ძვრებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე.

რა თქმა უნდა, ასეთი გულთბილი დამოკიდებულება ზრდიდა ჩვენი პასუხისმგებლობის გრძნობას, დელეგაციის ყველა წევრი ცდილობდა ღირსეულად წარმოედგინა რესპუბლიკა. ეს კარგად გამოჩნდა პირველსავე კონცერტზე, რომელიც სტავროპოლის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართული ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებმა ელექტროგტომატიკის, ავტომისამეულების ქარხნების, ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტის, კროვისა და საბჭოთა რაიონების, ქალაქ ჩერკესკის მშრომელთა ანსამბლი და სხვა ბევრი დაწესებულებისა თუ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა წიაზე. ყველა შეხვედრა გამთბარი იყო ძმური, მეგობრული სიყვარულით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა, პარტიის გორის ქალაქკომის მდივანი ბ. მაყაშვილი, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბატიაშვილი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. კომახიძე, მწერლები ხ. ბერიშვილი, მ. ლასერია, ე. ნიკარაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. ჩხიკვაძე თავის გამოსვლებში მოეთხრობდნენ მხარის მშრომელებს რესპუბლიკის, მისი ისტორიისა და დღევანდელი დღის შესახებ. მის მოწონაე ადამიანებზე, იმ ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მოხდა ჩვენს ცხოვრებაში.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფილმების ფესტივალმა, მაყურებელმა ნახა ჩვენი კინოსტუდიის 15-მდე საუკეთესო ფილმი. „მშობლიურო ჩემო მწყაო“, „ჯარისკაცის მამა“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „შერეკილები“, „ქალაქი ანარა“ და სხვა. გაიმართა ახალი ქართული ფილმის „კუკარაჩას“ პრემიერა.

განსაკუთრებით ამაღელვებელი გამოდგა დასკვნითი თეატრალიზებული წარმოდგენა გეორგიევსკში. გეორგიევსკი პატარა ქალაქია, 55 ათასზე ოდნავ მეტი მცხოვრებით. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს სტადიონზე, სადაც ეს წარმოდგენა მიმდინარეობდა, მთელი ქალაქი მოსულიყოს, გაეკვლილი იყო სტადიონი, ახლომდებარე სახლების სახურავები, თეატრალიზებულ წარმოდგენაში 2000-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა, დამერწმუნებით, რომ ასეთი პატარა ქალაქისათვის ეს გრანდიოზული მასშტაბია. წარმოდგენის დაწყების წინ სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ტარანოვმა, გეორგიევსკის მშრომელებს მიესალმა და რესპუბლიკის სახელით საჩუქარი გადასცა ამხანაგმა ნ. ჭითანავამ, ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა ეს შესანიშნავი სანახაობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული კოლექტივებიც.

ძნელია ყველაფრის აღნუსხვა, შთაბეჭდილებების სრულად გადმოცემა, მაგრამ ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო, ამ საზეიმო დღეებში გეორგიევსკის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას დამშობილებული „ქალაქი — გორის სახელი ეწოდა, ხოლო ახალგახსნილ ორსართულიან უნივერმაღს — „ივერია“. ეს ფაქტიც ერთი დამატებითი შტრიხია, მართლაცდა უაღრესად მეგობრული, თბილი განწყობილებისა, რომელიც სტავროპოლის მხარეში სუფევდა ამ დღეებში.

რადიუ თორდია,

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი

ჩვენი სტუმრობა მოსკოვსა და ლენინგრადში პირველი არ არის, მეგობრებიც ბევრი გვყავს, მაგრამ ეს დღეები მაინც სხვა იყო.

მოსკოვში რსფსრ მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში ვუჩვენეთ საქართველოს მხატვართა ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა. ნამუშევრები შეკრიბეთ მხატვართა სახელოსნოებში, მოვერიდეთ უკვე აღიარებული, მით უმეტეს, მოსკოველთათვის ნაცნობი ნიმუშების გამოფენას. დასაწყისში თემაზე იმდენად არ გვიფიქრია. ვარჩევდით უფრო საინტერესოს, თავისთავად. მაგრამ, ჩვენდა საკვირველად, აღმოჩნდა, რომ ოსეთ და ქართველი ხალხების, საერთოდ ხალხთა მეგობრობის თემაზე იმდენი რამ ყოფილა შექმნილი გულის ჯარნახით, რომ სპეციალური კონკურსი, რომელიც მიეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, ამაზე მეტს ვერ ... ...ებზე დამხობილი უზარმაზარი პარაშუტი გვიწევდა, მზის მაგვირობას მორგებით აბრიალებული კოცონი და, აღარ ვიცი, ეს კოცონი გვათბობდა ასე მხურვალედ სითბოს მიჩვეულ ქართველებს, თუ მასპინძლების სურვილი, რაიმე ორიგინალური ქუქით გამოეხატათ ზღვარდაუდებელი, გულში დაუტეველი სიყვარული.

ანზორ ერქომაიშვილი,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩვენ სვერდლოვსკში მოგვიწია ყოფნა. „რუსთავის“ გარდა, საქართველოს კულტურული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ხელოვნების აღიარებული, ცნობილი ოსტატები. დაგისახელებთ, თუნდაც, რამდენიმე მათგანს: ლიანა ისაკაძე „თავისი“ კამერული ორკესტრით, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტები მედეა ამირანაშვილი, ალექსანდრე ხომერიკი, ელდარ გეწაძე, თემურ გუგუშვილი, ხალხური ცეკვის ცნობილი შემსრულებლები იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულბერიძე, აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მსახიობები სოფიკო მიაურელი, კოტე მახარაძე, ვახტანგ კიკაბიძე და სხვები.

ამაღელვებელი შეხვედრები უკვე აეროპორტიდან დაიწყო. სვერდლოვსკში პოპულარულია ანსამბლი „მართვე“ — იქ ყოველ გაზაფხულზე იწვევენ ჩვენს ნორჩ მომღერლებს და იქაური ბავშვები გაფაციცებულნი იყვნენ, ახლაც ჩამოვიდა თუ არაო „მართვე“

იმ საღამოს უკვე კონცერტი გვქონდა „ურალმანქანის“ მუშათა სასახლეში. ინტერესი უდიდესი იყო. პირდაპირ ყვავილების ზღვაში ჩაგვძირეს მასპინძლებმა, ისინი სცენაზე ამოდიოდნენ, გვიქებდნენ ხელოვნებას, მთელი ანსამბლი მიგვიპატიჟეს სვერდლოვსკის 260 წლისთავის ზეიმზე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება.

უდიდესი წარმატება ჰქონდა გაერთიანებულ კონცერტს საკონცერტო დარბაზ „კოსმოსში“, ყველა ღირსეულად გამოვიდა. ადგილობრივი პრესა, რადიო, ტელევიზია აღნიშნავდნენ კიდეც ამ წარმატებას.

რა არ იღონეს იქაურებმა, რომ ღირსეული მასპინძლობა გაეწიათ. თითოეულ კოლექტივს ქალაქის თითო რაიონი შეფობდა. ჩვენ ორჯონიკიძის რაიონი შეგვხვდა. დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, შევხვედით მუშებს, მეცნიერებს, ახალგაზრდობას. ყველგან იგრძნობოდა, თუ რა-რიგ უყვართ იქ საქართველო, ჩვენი კულტურა.

ამ დღეების მშვენება იყო რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ზურაბ ნიკარაძის პერსონალური გამოფენა, რომელიც ახლაც გრძელდება იქ.

იმ ღირსსახსოვარ დღეებში ერთხელ კიდევ ვიგრძენით, თუ რა შესაძლებია ჩვენი ხალხების ძირძველ მეგობრობას.

PRAVDA

2 ივლისის მოწინავე

... ...

ბაკო. (საკადესი). რესპუბლიკურმა გამომცემლობამ „აზერნეშრამ“ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის 55-ტომიანი თხზულებათა სრული კრებულის მე-40 ტომი. გამოცემას ახორციელებს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

... ...

გზა, რომელიც ისტორიამ განსაზღვრა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია

ხალხთა ლენინური მეგობრობის ინტერნაციონალურ დღესასწაულად, ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა დათვალიერებად, მთელი საბჭოთა მეცნიერების დღესასწაულად გადაიქცა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. სესიაზე მეცნიერული პოზიციებიდან ღრმად დაასაბუთეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის სასიკეთო გავლენა არა მარტო მათს ბედზე, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ხვე-ბედზეც. სესიის მონაწილეებმა გააანალიზეს ქართული მეცნიერების მიღწევები, დასახეს მისი შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

სესიის მონაწილეებმა მოიხმინეს მოხსენებანი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. კ. ხარაძისა — „საბჭოური მეცნიერების განვითარება საქართველოში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ს. ლ. ტიხვინსკისა — „დიდი ოქტომბერი შემობრუნების პუნქტია ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში“, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, რეს-პუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ა. მელიქიშვილისა — „1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში“.

ე. კ. ხარაძის

მოხსენებიდან

ორასი წლის წინანდელი მოვლენა, რომელსაც ამ სესიას ვუძღვნით, უბრწყინვალეს ფურცლად შევიდა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში.

რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრებისა და ერთიანობის ფესვები და წანამძღვრები საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. რუსეთ-საქართველოს ადრეული ურთიერთობის ამსახველი ცნობები შემორჩენილია როგორც რუსულ, ისე ქართულ წერილობითს წყაროებში.

საუკუნეთა მანძილზე პატარ-პატარა სამეფოებად დანაწევრებული დაუძლურებული საქართველო თავგანწირულ თავდაცვითს ბრძოლას ეწეოდა ირანელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვოდნენ სამოლოდ დაემონებინათ და ეროვნულად გადაეგვარებინათ ქართველი ხალხი.

განუწყვეტელ და უთანასწორო ბრძოლებში იღლიდა ხალხის სასიცოცხლო ძალები, ინგრევდა ძველქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, დასაღუპად იყო განწირული კულტურისა და მეცნიერების განთქმული ძეგლები, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ ქართველი მამულიშვილები სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ.

მაღლიერ ქართველ ხალხს არ დაავიწყდება, რომ, როცა დამპყრობთა შემოსევები საქართველოს ინტელექტუალური შრომის წარმომადგენლებს აიძულებდნენ გადახვეწილიყვნენ სამშობლოდან და თავი შეეფარებინათ მოსკოვისა და პეტერბურგისათვის, ისინი განაგრძობდნენ მეცნიერულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რასაც მოწმინავე რუს სწავლულთა მიერ შექმნილ ხელშემწყობ პირობებს უნდა ვუმადლოდეთ.

რუსეთზე ორიენტაცია ქართველებს დაახსნევინებდა სამშობლოს მტრის გარემოცვისაგან, შეაძლებინებდა მისცემდა წარემართათ ქვეყანა ევროპული განვითარების გზით, აეღორძინებინათ ეროვნული კულტურა და ფიზიკურად შეენარჩუნებინათ ერი.

საქართველოს ბრძოლა ორ ცეცხლს შუა, რომელშაც ფეოდალურ-ეკლესიური ინტერვენციონალიზმი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში. ყველა სხვა ხალხთან ერთად, მომძე საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ოჯახში, მხარდამხარ ეომებოდნენ მტერს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ხალხები, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ და მუდამ ერთად იყვნენ ჭირსა თუ ლხინში, ამხნევებდნენ ერთმანეთს ომის დამდეგს განსაცდელის ჟამს და ერთად ზეიმობდნენ გამარჯვებას. მამულის დასაცავად ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო მეტად შეადუღაბა ამიერკავკასიის ხალხებისა და რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხის ღიადი მეგობრობა.

ფაშისტური ოკუპაციისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების შემდეგ ამიერკავკასიაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მძორობა შემოსეული მტრის ურღოვების მიერ აოხრებული სოფლებისა და ქალაქების აღსადგენად. დნეპრპეტროვსკის აღდგენაში დიდი დაზმარება მიიღო უკრაინამ, ბაკოს მენავთობეებმა გაგზავნეს მოწყობილობა და მიავლინეს სპეციალისტები დროგობიჩისა და ბორისლავის ნავთობსარეწაოების აღსადგენად. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისაგან უკრაინამ მიიღო სამედიცინო და პოლიგრაფიული მოწყობილობა, ჩაჩხები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, სურსათი, ლიტერატურა, ფულადი სახსრები.

ომისშემდგომ წლებში, მეტადრე განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ეკონომიკა და კულტურა დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა. ეს რესპუბლიკები დღეს წარმოადგენენ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს კეთილმოწყობილი ქალაქებითა და სოფლებით. აქ გაიზარდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი წამყვანი ძალის — საბჭოთა მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი ეროვნული რაზმები.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში ოთხზის ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ. 70-იანი წლების მანძილზე გაორკეცდა მისი სამრეწველო პოტენციალი და ეროვნული შემოსავალი. საქართველოს არ ახსოვს ეკონომიკური განვითარების ასეთი გაჭანება და მასშტაბი, საქართველოს აქამდე არასდროს მიუღწევია მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ზრდის ისეთი მწვერვალებისათვის, როგორსაც ახლა მიაღწია.

საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში მკაფიოდ გამოვლინდა ორი ტენდენცია, რომლებიც სსრ კავშირში ერების ურთიერთობის განვითარებას ახასიათებს: ერთი მხრივ, თავისთავადი, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი აყვავება, რესპუბლიკის ფართო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარება, მისი ინდუსტრიალიზაცია, და მეორე მხრივ — სხვა ერებთან დაახლოების სულ უფრო მზარდი პროცესი, არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, არამედ აგრეთვე იდეოლოგიის, პოლიტიკის, კულტურის დარგში. ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი — ეს არის არა რაღაც ახალი ერი, არამედ სწორედ ერთმანეთის მონათესავე, ახლობელი ერების ერთობა, ერთობლიობა, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ეროვნული კულტურის განუმეორებელი თვისებები.

საქართველოს დღევანდელი სინამდვილე ამას დამაჯერებლად ადასტურებს. რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს კომუნისტური პარტია, მშრომელები დიდ, თანამიმდევრულ მუშაობას ეწევიან სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციისათვის.

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს. იგი არაერთგზის ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის პარტიის და მთავრობის დელეგაციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, და ახლახან დაბრუნდა პორტუგალიაში ერთობა მნიშვნელოვანი მოგზაურობიდან.

სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა თვალსაჩინოდ გამოხატავს ჩვენი ქვეყნის შინაპოლიტიკური განვითარების, ძმური მეგობრობისა და შეკავშირების ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა კავშირის მრავალ ერსა და ეროვნებას შორის დამკვიდრდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგად, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პროცესში. როგორც მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, საბჭოთა კავშირი დიდ გავლენას ახდენს პლანეტის ყველა ხალხის განვითარებაზე, იცავს რა კაცობრიობის მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს.

გ. ა. მელიქიშვილის

მოხსენებიდან

გეორგიევსკის ტრაქტატის დადება შეამზადა საქართველოს მთელმა იქამდელმა განვითარებამ, იგი გახდა ლოგიკური დაგვირგვინება რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა.

ქართველი ხალხი მედგრად და ვაჟკაცურად უმკლავდებოდა გარეშე მტერს, მაგრამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა იმან შეასუსტა, რომ საქართველო ამ დროისათვის უკვე აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს. ფეოდალური საქართველოს დაშლას შედეგად მოჰყვა ბატონყმობის საბოლოო გამარჯვება და მის საფუძველზე სათავადოების სისტემის განვითარება. სათავადოების სისტემამ თანდათან მოიცვა მთელი საქართველო. ფეოდალი თავადები სულ უფრო მეტად თავისუფლდებოდნენ მეფის ხელისუფლების კონტროლისაგან, პირს კრავდნენ უცხოელ დამპყრობლებთან, ადამბლავებდნენ ქვეყანას, და შეუძლებელს ხდიდნენ საკუთარი ძალებით ჩიხიდან თავის დაღწევას. ყოველივე ეს ქვეყნის პროგრესულ ძალებს აყენებდა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მოეძებნათ მძლავრი მოკავშირე ქვეყნის ხსნისა და აღდგენისათვის ბრძოლაში. ასეთი ბუნებრივი მოკავშირე გამოდგა ერთმორწმუნე მძლავრი რუსეთი, რომლის პოლიტიკური ინტერესები ასევე მოითხოვდა ორიენტაციას საქართველოს პოლიტიკურ ფორმირებებზე ირანთან და თურქეთთან თავის ურთიერთობაში რუსეთის საალმოსავლეთო პოლიტიკის განხორციელებაში.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში, გიორგის ციხეში კავკასიის ხაზის სარდალმა გენერალმა პავლე პოტიომკინმა და ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა იონე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს ტრაქტატს რუსეთის მფარველობის ქვეშ აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ.

1783 წლის ტრაქტატს ქართველი ერი უკავშირებდა იმ იმედების განხორციელებას, რომ ძლიერი მოკავშირისა და მფარველის ყოლა ბოლოს მოუღებდა ირან-თურქეთის აგრესიას, ჩრდილოეთ კავკასიის ტომების გამაჩანაგებელ შემოსევებს, განამტკიცებდა მშვიდობას და შესაძლებელს გახდიდა ქვეყნის შემდგომ პროგრესულ განვითარებას.

რუსეთთან საქართველოს შეერთება იყო რთული და ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, შედეგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, რომელიც ორი ქვეყნის საერთო ინტერესების საფუძველზე ვითარდებოდა. თავისი ისტორიული შედეგების მიხედვით მან დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ქართველი ერის ცხოვრებაში და ამავე დროს მთელი კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტიც გახდა.

ამიტომ, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთთან საქართველოს შეერთებას ობიექტურად ძალზე დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ცარიზმი სულაც არ იყო დაინტერესებული კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებით. თვითმპყრობელობა მთელ ამ რეგიონს მეტროპოლიის ეკონომიკურ დანამატად მიიჩნევდა. მაგრამ ამ დებულებების საპირისპიროდ კავკასიაში განვითარება იწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, გაჩნდა პროლეტარული კლასი და მისი პარტია. ცარიზმი ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ XIX საუკუნეში, რუსეთთან ერთობლივი ცხოვრების შედეგად შეიქმნა საიმისო პირობები, რომ დამთავრებულიყო ბურჟუაზიული ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. ცარიზმი ყოველნაირად აბრკოლებდა რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მასების საბრძოლო თანამგობრობას, ერთმანეთს ჰკიდებდა და აძულებდა კავკასიის ხალხებსა და ეროვნებებს, მაგრამ სწორედ მისი ნების საწინააღმდეგოდ, მისი ინტერესების საპირისპიროდ იზრდებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამგობრობა.

საქართველოს საზოგადო მოღვაწენი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას. რუსეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო წინააღდგომოდა ირანისა და თურქეთის დამპყრობლურ გეგმებს ამიერკავკასიის მიმართ.

საქართველოს საზოგადო მოღვაწეებს ღრმად სწამდათ, რომ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური პროგრესის გზა რუსეთზე გადიოდა. მხოლოდ რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან უმჯიდროესი სბრძოლო თანამგობრობის მეოხებით შეძლებდა იგი ჩამოეგდო ცარიზმის კოლონიური უღელი და მოეპოვებინა ნანატრი თავისუფლება.

ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა, რომელიც სხვებთან ერთად რუს მშრომელ ხალხსაც ჩაგრავდა, აერთიანებდა ყველას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. რევოლუციურ ბრძოლაში იქმნებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. ამ ბრძოლას XIX საუკუნის დამლევიდან სათავეში ედგა უკვე რუსეთის პროლეტარიატი ბოლშევიკთა პარტიის მეთაურობით. ამიერკავკასიის ბოლშევიკები თავიდანვე წარმოადგენდნენ ლენინის მიერ შექმნილი პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს და ამავე დროს განასახიერებდნენ მაღალ ინტერნაციონალიზმს, სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ძმურ კავშირს, რის გამოც, როგორც ცნობილია, აღფრთოვანებას გამოთქვამდა თვით ლენინი.

კომუნისტურმა პარტიამ ერთიან საბრძოლო ბანაკად შეაკავშირა რუსეთის იმპერიის ხალხები, გაართმოლიანა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და ზოგად-დემოკრატიული მოძრაობა მშვიდობისათვის, ბელუთა ბრძოლა მიწისათვის, პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბოლო მოუღო ხალხების სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მენშევიკური მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს საქართველოში. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა — ხანა რევოლუციური გარდაქმნების და სოციალისტური მშენებლობისა. მოკლე ისტორიულ ვადაში საქართველომ გიგანტური ნახტომი გააკეთა და მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინმა უჩვენა პარტიასა და ხალხს ერთადერთი სწორი გზა — სოციალისტური ფედერალიზმის გზა. „ეს; — როგორც სსრ კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სხვიმონ სხდომაზე თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — არის თავისუფალ ხალხთა კავშირის სრული ნებაყოფლობა, როგორც სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის მაქსიმალური სიმტკიცის გარანტია. ეს არის ყველა ერისა და ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა, მათი არა მარტო იურიდიული, არამედ აგრეთვე ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის თანამიმდევრული გეზი. ეს არის ყოველი რესპუბლიკის, თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარება მათი ძმური კავშირის ფარგლებში. ეს არის ინტერნაციონალისტური შეგნების განუხრელი გამომუშავება და ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების დაახლოების მტკიცე კურსი“.

„ლენინის ანდერძი, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპები ჩვენთვის წმიდათაწმიდაა. ამ პრინციპებზე დაყრდნობით, მათი თანამიმდევრული პრაქტიკული დამკვიდრების მეოხებით ჩვენ შეგვქმენით მძლავრი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის შექმნა არა მარტო სოციალიზმის განვითარების გზით გადადგმული დიდი ნაბიჯი, არამედ აგრეთვე მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარდამტეხი მომენტი გახდა“.

საბჭოთა საქართველოს მთელი ისტორია ამ სიტყვების ნათელი დასტურია. უზრუნველყო რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა, საქართველოს კომუნისტური პარტია შეუდგა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გენიალური ლენინური გეგმის განხორციელებას, რის შედეგადაც საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. განხორციელდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. საქართველოში ფართო გაჭანება პოვა კულტურულმა რევოლუციამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული საბჭოთა კულტურის — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება.

დიდი სამამულო ომი გახდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის, ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მკაცრი შემოწმება. ქართველმა ხალხმა და საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად გადაიტანეს ეს მძიმე განსაცდელი.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა ომისშემდგომ წლებში მთელ ჩვენს ქვეყანაში ძალუმად მიმდინარე კომუნისტური მშენებლობის პროცესში. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1965 წლის დეკემბერში მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. პირველი ლენინის ორდენი რესპუბლიკას ჯერ კიდევ 1935 წელს მიენიჭა სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული უთვალსაჩინოესი წარმატებებისათვის. შემდეგ რესპუბლიკა დაჯილდოდა აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, მეცნიერებელნი, ლიტერატურისა და ხელოვნების უთვალსაჩინოეს მოღვაწეებს — სულ 1300-ზე მეტ კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკამ უკანასკნელ ათწლეულში, მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. მან დასაბამი მისცა საქართველოს კომპარტიის მტკიცე, პრინციპულსა და უკომპრომისო ბრძოლას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების საყოველთაო დამკვიდრებისათვის.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანების გადაწყვეტად ათი წლის შეუპოვარმა მუშაობამ საგრძნობი შედეგები მოგვიტანა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. მათ გამოხატულება პოვეს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაშიც. ათი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება თითქმის გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა ერთნახევარჯერ და მეტად. მეათე ხუთწლედის დავალებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. 1982 წელს საბჭოთა საქართველოს ზედიზედ მეცხრედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა ყოველივე ამას მიაღწიეს თავდადებული გარჯით, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ რუსპუბლიკა ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა ადამიანების ერთიან ოჯახში, სარგებლობს დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მომძე ხალხთა ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმხარდაჭერის ყველა სიკეთით. (საქინფორმი).

2 ივლისი

უკანასკნელი

ფაქტები მოვლენები საკვლევი ინფორმაცია

სახალხო დეპუტატთა საბჭოები: ქეშმარიტების კრიტერიუმია პრაქტიკა

„საბჭოები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში“ — ამ თემას მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 2 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რგოლის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. ბ. გილაშვილმა.

ჩვენ შევიკრიბენით იმ დროს, თქვა მან, როცა ყოველ ჩვენგანს ჯერ კიდევ თვალწინ უდგას პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ ეტაპი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია. ჩვენზე წარუშლელი მოგონებად ჩაბეჭდილება მოახდინა პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ პლენუმზე წარმოთქმულმა ღრმამნიშვნელოვანმა, კონკრეტულმა და საქმიანმა სიტყვამ, რომლებიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის უმთავრესი აზრია საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა.

პარტია და ხალხი უმაგალითო მასშტაბის ამოცანებს წყვეტენ. მათს ეფექტიან გადაწყვეტაში, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, გვეხმარება ჩვენში შექმნილი ეკონომიკური ბაზა, სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკური სისტემა. და დღეს სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემაში საბჭოების როლისა და ადგილის მეცნიერული გააზრების გარეშე ძალზე ძნელია გადაწყვეტოთ ის ურთულესი ამოცანები, რომლებსაც პარტია აყენებს უმაღლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. წინაშე. აი რატომ არის, რომ ახლანდელი კონფერენციის თემა წარმოგვიდგება აქტუალურად, თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, თქვა შემდეგ ამხ. პ. გ. გილაშვილმა, — ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების მწყობრი და ერთიანი სისტემა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოდან სასოფლო და სადაბო საბჭოებამდე. საბჭოების სისტემის ერთიანობას განაპირობებს აგრეთვე საბჭოების ამოცანებისა და ფუნქციების, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის მთავარი ნიშნების ერთობლიობა.

საბჭოების სისტემის ერთიანობას საფუძვლად უდევს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც ახორციელებს კომუნისტური პარტია, პარტია ხალხისთვის რომ არსებობს და ხალხს რომ ემსახურება. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციისას საბჭოები ამ სისტემის ყველა რგოლში საერთო-სახალხო ინტერესების მატარებლად გვევლინებიან.

სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარება და სრულყოფის კვალობაზე სულ უფრო სრულად წარმოჩნდება საბჭოების, როგორც ხელისუფლების ჭეშმარიტად სახალხო ორგანოების დემოკრატიული ბუნება. როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, შემდეგ კი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა მიღებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში. გაიზარდა საბჭოების როლი იმ ტერიტორიათა კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, სადაც მოქმედებენ ისინი, გაფართოვდა მათი საყოფაცოფოებო ფუნქციები საწარმოორგანიზაციათა საქმიანობის მიმართ, მიუხედავად ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების დაქვემდებარებისა. გაძლიერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების კონტროლი უწყება-სამინისტროთა მუშაობისადმი, საბჭოებს ეკულტურული მშენებლობის ძირითად უბნებზე საქმის მდგომარეობისადმი.

მეურნეობისადმი ეფექტიანი ხელმძღვანელობის საინტერესო გამოცდილებაა შეძენილი აბაშის, მახარაძის, ქ. თბილისის საქარხნო რაიონებში, ქალაქ ფოთსა და სხვა ადგილებში, — ეს ითქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე, რომელმაც განიხილა, თუ როგორ სრულდება ცნობილი დადგენილება სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ.

როცა საბჭოების როლისა და ადგილის თეორიულ გააზრებაზე ვლაპარაკობთ, თქვა დასასრულ ამხ. პ. გ. გილაშვილმა, ჩვენ არც ფშნდა პრაქტიკული ნასიათის პრობლემები უნდა გავიფუდეთ, ვინაიდან ჭეშმარიტების კრიტერიუმი შუდამ პრაქტიკაა. ამ მრივ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიღწეული მონაპოვრებისა და შეძენილი დადებითი გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების ტრადიციულად დახვეწილი ფორმაა, რომლის დაუფლებაც ეკონომიკური და სოციალური. განვითარების ხელმძღვანელობის სრულყოფის საწინდარია. გვინდა, რომ ჩვენი კონფერენციის მუშაობა წარიმართოს ამ შესანიშნავი ორიენტირით, რომ მისი რეკომენდაციები იყოს არა მარტო თეორიული, არამედ აქტიურად შეტევითიც, ზუსტად გამიზნული საბოლოო შედეგის მისაღწევად.

მოხსენება „საბჭოები განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე“ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორმა ს. ვ. სოლოვიოვამ. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული განვითარების კომპლექსურობის უზრუნველსაყოფად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის გამოცდილების შესახებ ილაპარაკა ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ გ. გ. კუხალეიშვილმა. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ს. ჯიქიამ თავის მოხსენებაში აღძრა პრობლემები, თუ როგორ გაზარდონ საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა ადგილებზე პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, საბჭოთა კანონების შესრულებაში სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ გააკეთა მოხსენება თემაზე „სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის შემდგომი დემოკრატიზაცია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დიალექტიკური კანონზომიერებაა“.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აღმასკომების თავმჯდომარეები — საგარეჯოს რაიონის უდაბნოს სასოფლო საბჭოსი — ი. ნ. ქვლივიძე, მახარაძის რაიონული საბჭოსი — მ. ვ. ჟღენტი, ქ. თბილისის კიროვის რაიონული საბჭოსი — ა. ი. კანდელაკი, გულრიფშის რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. გ. ქალდანი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმაგალშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ა. მეტონიძე, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. რ. სანებლიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. მ. აბესაძე და სხვები.

საქმიანი, საგნობრივი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევიან სახალხო დეპუტატთა საბჭოები ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის, სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, მუშაობაში პასუხისმგებლობისა და ორგანიზებულობის ამაღლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, რაც სასურსათო პროგრამის შესრულების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. გამოთქვა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია დაიბეგროს დეპუტატთა ჯგუფების მუშაობა წარმოების მართვაში, დისციპლინის განმტკიცებაში შრომითი კოლექტივის როლის გასაძლიერებლად. როგორც ამას მოითხოვს სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. განსაკუთრებული სჯა-ბაასის საგანი იყო საბჭოების საქმიანობა ხალხთა მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფასთან.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეჯამა ამხ. პ. გ. გილაშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ე. კ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშარაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ვ. სმირნოვი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე.

(საქინფორმი).

ერის ფუძე და ბურჯი სოფელია!

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების გამოხმაურება ალდგენილი სოფლების წარმომადგენელთა პირველი შეკრების მიმართვის პასუხად

ძვირფასო მეგობრებო!

ვისაც ნამდვილად სამშობლოს სიყვარული შეუცვნია, გულგრილად არ შეიძლებოდა დარჩენილიყო თქვენი მამულშვილური მიმართვის შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით ოდესღაც მიტოვებულ და მივიწყებულ სოფლებს სიცოცხლე უბრუნდებათ.

აღორძინებულ საბჭოთა საქართველოში აღარ უნდა არსებობდეს ნასოფლარები და ნაფუძარები. ასეთია ჩვენი ხალხის სურვილი. იმ დღიდან, როდესაც აღდგენილი სოფლების წარმომადგენელთა შეკრების მონაწილეებმა მამულიშვილურად მოუწოდეს მთელ საქართველოს —„წმინდად მოვიხადოთ ჩვენი ვალი მშობლიური მიწის წინაშე!“ — საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის შენობაში არც ერთი საათი, თითქმის არც ერთი წუთი არ ყოფილა, რომ არ მოდიოდნენ ლექტორები და თავიანთ უანგარო სამსახურს არ გთავაზობდნენ, თქვენი მომართვის პასუხად.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა ითავა სოფლების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის გამდიდრება, უპირველეს ყოვლისა საკუთარი ნაწარმოებებით. ამ წამოწყებებს ბევრი მხარდამჭერი აღმოუჩნდა.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმი.

ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲚᲐᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡᲐ და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის ხელმძღვანელობით გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარებისა და ფლოტის ძალების წვრთნა.

საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებული ვითარების რთულ პირობებში მართვის ორგანოები, შეწაერთები და ნაწილები სრულყოფენ საბრძოლო გამართულობასა და ურთიერთმოქმედებას სხვადასხვა სახის ბრძოლაში ერთობლივი საბრძოლო მოქმედების წარმოების დროს.

წვრთნის პირველ დღეებში პირადი შემადგენლობის მოქმედებამ ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე გვიჩვენა რომ მეთაურები, შტაბები და პოლიტორგანოები, ყველა სახეობისა და გვარეობის ჯარების მეომრები დიდი პოლიტიკური აღმავლობით, გულმოდგინეთ და მაღალი პასუხისმგებლობით წყვეტენ სასწავლო-საბრძოლო ამოცანებს. ᲘᲡᲘᲜᲘ წვრთნას მიიჩვევენ, როგორც საბრძოლო სიმწიფის გამოცდას, ანგარიშგებას პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე იმ ამოცანების შესრულების შესახებ, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა დასახეს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

(საკდესი)

„საქართველოს ᲑᲣᲜᲔᲑᲐ“ № 6

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ საქართველოს სსრ სტატეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმო პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ამ შლაგით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში“ დაბეჭდილია შ. ჯალაგანიძის სტატია — „გავზარდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მეცნიერი გვირჩევს“; „მიზანი — სასურსათო პროგრამის განხორციელება“; „გახსენება“ და სხვ.

მკვლევარი-ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘ

ᲓᲦᲔᲡ იგი 80 წლისა იქნებოდა. ლევან ცქიფურიძის — ივანე ბერიტაშვილის ერთგული მოწაფისა და თანამდგომის სახელი არათუ ფართო საზოგადოებრიობამ, დღეს ბევრმა ფიზიოლოგმაც არ იცის. იგი არ „ყოფილა „დიდი მეცნიერის“ შარავანდედით შუქნაფენი, თუმც მეტად თავმდაბალი და მოკრძალებული, მაღალი რანგის ექსპერიმენტატორი და ჩინებული პედაგოგი იყო, მეცნიერი, რომლის ნამუშაკარი დღეს განსაკუთრებულად წარმოჩინდა.

იგი, თელაველი დურგლის შვილი, მამით ადრე დაობლდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორ წელს ნაფარეულის დაწყებითს სკოლაში მასწავლებლობდა. მხოლოდ ამის შემდეგ აუხდა სწავლას მოწყურებულ ჯაბუკს ოცნება და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

ლევან ასკანელი კურსის სტუდენტი იყო, რომ პროფესორმა ივანე ბერიტაშვილმა მიაქცია ყურადღება და ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე პრეპარატორად ჩაირიცხვინა, უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ასისტენტად დანიშნეს.

ლევან ცქიფურიძემ მალე მოიხვეჭა გონებამახვილი ექსპერიმენტატორისა და მრავალმხრივ ერუდირებული მკვლევარის სახელი. ჩონჩხის კუნთისა და ნერვის ფიზიოლოგია, ცენტრალური შეკავების პრობლემა, ზურგის ტვინისა და თავის ტვინის ელექტრული მოქმედება — ასეთი იყო მისი კვლევის დიაპაზონი. მის ნაშრომებში მრავალი რამ იყო ისეთი, რაც იმდროინდელ ფიზიოლოგიაში ახალ სიტყვას წარმოადგენდა.

1939 წელს ლევან ცქიფურიძე ლენინგრადს მიაკლინეს. იქ მან პროფესორ ი. უფლიანდთან საფუძვლიანად აითვისა ეგრეთ წოდებული ქრონაქსიმეტრიის მეთოდი, რომელიც ფრანგმა ნეეროლოგმა ლუი ლაპიკმა შემოიღო და იმ დროს მეტად საგულისხმო მეთოდად ითვლებოდა კუნთისა და ნერვის ცხოველმყოფელობის განსასაზღვრავად. ლ. ცქიფურიძემ ეს მეთოდი თბილისში დაბრუნებისთანავე ფართოდ გამოიყენა ჩონჩხის კუნთის სხვადასხვა მიდამოს მოქმედების შესასწავლად და ამ მოქმედების სხვადასხვა პირობებში გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევათა შედეგები შეაჯამა დისერტაციაში „ჩონჩხის კუნთის ქრონაქსიის მრავალგვარობა და მისი წარმოშობის მიზეზები“, რისთვისაც მას ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს. მალე იგი უნივერსიტეტის დოცენტად აირჩიეს. ამავე დროს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა. 1941 წელსვე, როგორც კი გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ქართველ ფიზიოლოგებს გამოეყენებინათ საბჭოური ფიზიოლოგიისთვის იმ დროს ჯერ კიდევ უცხო მეთოდიკა — ტვინის მოქმედების ოსცილოგრაფიული შესწავლისა, ლ. ცქიფურიძე ამ ახლებური მეთოდით შეუდგა ჯერ ზურგის ტვინისა და შემდეგ თავის ტვინის ელექტრული მოქმედების გულდასმით შესწავლას. ამას ისიც დაერთო, რომ ახალგაზრდა მკვლევარმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა თავის ტვინში ელექტროდების ჩანერგვის ხერხი (ეს ხერხი დღეს მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაშია გამოყენებული. მას წარმატებით იყენებენ კლინიკაშიც — ავადმყოფების თავის ტვინის ელექტრული აქტიურობის გამოსაკვლევად). ზურგის ტვინისა და, განსაკუთრებით, თავის ტვინის მოქმედების ამ ახლებური ხერხით შესწავლის შედეგად ლ. ცქიფურიძემ ბევრი ისეთი რამ გამოარკვია, რასაც დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება. მან ი. ბერიტაშვილთან ერთად აღწერა ტვინის ეგრეთ წოდებული სპონტანური („თავისთავადი“) ელექტრული მოქმედების სურათი და მისი ცვალებადობა სხვადასხვა პირობებში. ეს გამოკვლევა იმდროინდელ ფიზიოლოგიაში ახალი სიტყვა იყო. ამ გამოკვლევით მიღებული ფაქტები მერე გამდიდრდა მთელ მსოფლიოში დაგროვილი მასალებით.

საბჭოელ მეცნიერთა შორის ლ. ცქიფურიძე ასევე პირველთაგანი იყო, ვინც ა. ბაკურაძესთან ერთად ნათხემის და თავის ტვინის ქერქის ურთიერთობა შეისწავლა, ხოლო ი. ბერიტაშვილთან ერთად — ნათხემის მიერ სხვადასხვა პერიფერიულ გაღიზიანებათა მიმღებლობის უნარი.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო ლ. ცქიფურიძის ნეიროფიზიოლოგიურ გამოკვლევათა ორი მიმართულების შედეგები. პირველია — თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტიურობის სურათი ბუნებრივი ძილის დროს, ხოლო მეორე ეგრეთ წოდებული აღფა-რიტმის არსებობა კატის თავის ტვინში. ლ. ცქიფურიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ძილის დროს თავის ტვინში აღმოცენდება არა მარტო იმ დროს უკვე კარგად ცნობილი ნელი ელექტრული რხევები, არამედ სწრაფწარმავალი რხევებიც — იმის მსგავსად, როგორც ეს ღვიძილის დროს აღმოცენდება ხოლმე. პარადოქსული ფაქტი იყო: მძინარე ცხოველს თავის ტვინის ქერქში დროდადრო ისეთივე ელექტრული აქტიურობა აღერიცხებოდა, როგორც მღვიძარეს. ლ. ცქიფურიძემ დაასკვნა, რომ ნორმალური ძილის დროს ორი ფაზა ენაცვლება ერთიმეორეს: ერთია თავის ტვინის ელექტრული აქტიურობის ნელ-ტალღოვანი ფაზა, ხოლო მეორე — „მოუსვენარი ძილის“ ფაზა. გავიდა რამდენიმე წელი, და ანალოგიური სურათი უცხოელებმაც აღწერეს, მაგრამ ისე, რომ ლ. ცქიფურიძის ნაშრომზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ფრანგმა ნეეროლოგმა მ. ჟუვემ და მისმა თანამშრომლებმა ცქიფურიძისეულ „მოუსვენარი ძილის“ ფაზის პარადოქსული ფაზა უწოდეს და ამ ფენომენს დღესაც ყოველმხრივ იკვლევენ მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაში.

ლ. ცქიფურიძის მეორე ღირსშესანიშნავი კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ კატის თავის ტვინში, როცა ცხოველი მოსვენებულია და თანაც თვალებდახუჭული, აღირიცხება ე. წ. აღფა-რიტმის ელექტრული რხევები. ეს რიტმი პირველმა თანამედროვე ელექტროენცეფალოგრაფიის ფუძემდებელმა ჰანს ბერგერმა აღწერა 1929 წელს: თუ ადამიანი მოსვენებულია და, განსაკუთრებით, თუ თვალდახუჭულია, თავის ტვინში აღმოცენდება ელექტრული ტალღები წამში 8-12 სიხშირისა. ლ. ცქიფურიძემდე ყველა მიიჩნევდა, რომ ეს თავისებური რიტმი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თავის ტვინისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ იყო, რომ ლ. ცქიფურიძის მიერ აღწერილმა კატის თავის ტვინში აღფა-რიტმის არსებობის ფაქტმა მეტად მწვავე კამათი გამოიწვია ქართველ ფიზიოლოგთა შორის: საეჭვოდ მიიჩნევდნენ თვით ამ ფაქტის არსებობას, მერე კი, მომდევნო, განსაკუთრებით უცხოელთა გამოკვლევებით, აშკარა გახდა, რომ სწორი იყო ლ. ცქიფურიძის დებულება აღფა-აქტიურობა ორგანიზმთა თავის ტვინის ფილოგენეზური განვითარების უფრო ადრიან საფეხურზე ხდება, ვიდრე ეს წინათ ეგონათ.

ლევან ცქიფურიძის ორივე ეს მნიშვნელოვანი, აღმოჩენის დარი ნაშრომი, სამწუხაროდ, მხოლოდ ავტორის გარდაცვალების წელს დაიბეჭდა ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებულში და უცხოელებისთვის უცნობი დარჩა...

აქვე მინდა მოვიგონო ის ფაქტიც, თუ რარიგ ცდილობდა ლ. ცქიფურიძე ფიზიოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები პრაქტიკულ საქმიანობაში გამოეყენებინა. საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოგახსენებთ, ომის წლებში ლ. ცქიფურიძემ, როგორც ბევრმა სხვა ქართველმა ფიზიოლოგმა, მეცნიერულ-თეორიული კვლევა დროებით განზე გადადო და თბილისის სამხედრო ჰოსპიტლებს მიაშურა. აქ იგი წარმატებით იყენებდა ქრონაქსიმეტრიის მეთოდიკას დაჭრილ მოემართა ნერვ-კუნთოვანი აპარატის პათოლოგიის ფუნქციურ დიაგნოსტიკისთვის. უფრო მეტიც: თავის კოლეგა ნინო ჭიპინაძესთან ერთად მან ორიგინალური მეთოდი შემოიღო, — იგი იწვევდა ტკივილს, განსაკუთრებით კაუზალგიური ტკივილის ცენტრალურ შეკავებას და ამით აუტანელ ტკივილს უმსუბუქებდა დაჭრილ მებრძოლებს.

ჩუმად, მოკრძალებით, მეცნიერებას გადაგებული იღგწოდა ეს კეთილშობილი ადამიანი. იცხოვრა ისე, რომ წამითაც არ შეუშფოთებია თავის გამოჩენისა და თავის ჭეშმარიტი ღვაწლის განდიდების ენრ. ჯერ კიდევ 47 წლისაც არ იყო, რომ უკურნებელი სენით მიიცვალა, მიიცვალა შემოქმედებითი სიჭაბუკის ჟამს და თან წარიტანა ბევრი ხორცშეუსხმელი მეცნიერული ჩანაფიქრი...

ᲙᲣᲯᲘ ᲙᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **დემოკრატიულმა რესპუბლიკური პარტიებისგან კონგრესმენთა ჯგუფმა წარმომადგენელთა პალატის განსახილველად წარადგინა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს პრეზიდენტ რეიგანს განაახლოს სახეობთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობა კოსმოსის ათვისების დარგში.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ სფეროში ორ ქვეყანას შორის კონტაქტების უქონლობა აძლიერებს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საფრთხეს. რეზოლუცია მოითხოვს განაახლონ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევასა და გამოყენებაში თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირ-ამერიკის შეთანხმების მოქმედება. ასეთი ნაბიჯი, აღნიშნულია დოკუმენტში, დედამიწისახლო სივრცეში გამალებული შეიარაღების აღტერნატივა იქნებოდა. 1972 წელს დადებული ეს შეთანხმება მხარეებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა გაეგრძელებინათ, მაგრამ მისი მოქმედება შარშან შეწყდა რეიგანის ადმინისტრაციის მიზეზით.

ᲛᲝᲠᲘᲜᲒᲝᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **ამერიკელმა კანონმდებლებმა რეიგანის ადმინისტრაციის საამებლად მიიღეს ვაშინგტონის კიდევ ერთი უკიდურესად საშიში მილიტარისტული პროექტი.** ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დასტური მისცა იმას, რომ მომავალ საფინანსო წელს გამოყონ 50 მილიონი დოლარი, რასაც გამოიყენებენ მასობრივი მოსპობის იარაღის განსაკუთრებით ბარბაროსული ნაირსახეობის 155-მილიმეტრიანი ნეიტრონული საარტილერიო ჭურვების ქვემეხების წარმოებისათვის.

ვაშინგტონში არ მალავენ, რომ იარაღის ეს სახეობა უწინარეს ყოვლისა, განკუთვნილია ნგრევისათვის დასავლეთ ევროპაში. ნეიტრონული საბრძოლო მასალებით, წერს „ვაშინგტონ პოსტი“, განზრახულია აქვთ შეცვალონ იქ არსებული „ბოძველებული“ ბირთვული საარტილერიო ჭურვები.

მაგრამ „ნეიტრონული სიკვდილით“ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მომარაგების პენტაგონის დანაშაულებრივი გეგმები ამით არ ამოიწურება. ჩქარი ტემპით წარმოებს ორი სხვა სახეობის ნეიტრონული იარაღის — ამერიკის „ლენსის“ ბირთვული რაკეტების მუხტების, აგრეთვე მდიფუმინანი ნეიტრონული საარტილერიო ჭურვების წარმოება.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜ

ᲞᲠᲐᲰᲐ. **როგორც ჩეხოსლოვაკიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პრაღაში დაბრუნდა იმ ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეთა პირველი ჯგუფი** (ძირითადად ქალები და ბავშვები), რომლებიც ამა წლის მარტის დამდეგს შეიპყრეს ანგოლის ქალაქ ალტუ-კატუმბეოში უნიტის კონტრრევოლუციურმა დაჯგუფებამ.

ცნობაში ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკია მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ყველა ღონეს ხმარობს, რათა, რაც შეიძლება მალე გაანთავისუფლოს დანარჩენი ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქენი, რომლებიც აქამდე უკანონოდ ჰყავს დაკავებული ანგოლის საწინააღმდეგო დაჯგუფებას.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. **თურქეთის პრეზიდენტი გენერალი ჭ. ევრენი გადადგა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან, რომელიც მას შეთავსებული ჰქონდა.** გენერალური შტაბის ახალი უფროსი გახდა თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი გენერალი ნ. ერსინი.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ

27-28 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართა თათბირი, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა დიდი ამბით უწოდეს „პარტნიორთა დიალოგი“. ამასთან მსოფლიო საზოგადოებრიობას უნერგავდნენ აზრს, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან „საერთო პრობლემების“ განსახილველად, როგორც თანასწორები, შეიკრიბებიან ერთი მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ასეანი) წევრი ქვეყნების ინდონეზიის, მალაიზიის, სინგაპურის, ტაილანდისა და ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრები, ხოლო მეორე მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და „საერთო ბაზრის“ წარმომადგენლები.

სინამდვილეში შეხვედრაზე პარტნიორთა თანასწორობის ნიშნწყალიც კი არ იყო. ასეანის ქვეყნები, რომლებმაც ეს ორგანიზაცია შექმნეს 1967 წელს, მიზნად ისახავდნენ ეკონომიკური ზრდის, სოციალური პროგრესისა და კულტურული განვითარების დაჩქარებასა და ერთმანეთთან თანამშრომლობის გაფართოებას, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „მშვიდობისა და სტაბილურობის“ დამყარებისათვის ხ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. მ. წიფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ძართული საბჭოთა თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის, იმ მასობრივი სახალხო დღესასწაულების მოწყობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელთა მიზანია მშრომელთა და ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდა, და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბორის მიხეილის ძე **წიფურია** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 24 ივნისი.



კი, დაუჯერებელი რა არის ვითომ — სიცილ-სიცილში და ხუმრობა-ხუმრობაში ორმოცდაათი წლის გავხდი. გეფიცებით, ხორგა და ცხაკაია მესაზრება ამ ბოლო დროს ხშირად. ესეც წლების ბრალია, ალბათ. ხორგამ დავიბადე, ცხაკაიაში კი დედულეთში ვიზრდებოდი რამდენიმე ხანს. მალე თბილისში გადავიდა დედ-მამა. ომის დრო იყო, დილით სკოლაში რომ მივიდოდით ბავშვები, დაჭრილი ჯარისკაცებით სავსე გვხვდებოდა იქაურობა. დავამთავრე სკოლა და ეკონომისტობა მოვინდომე. არ მეწერა ალბათ, და თეატრალურზე შევედი. მერე იცი, უკვე, ალბათ... ასე გავდა ნახევარი საუკუნე...

— არა, მე ბევრი არაფერი ვიცი თქვენი სამსახიობო გზის დასაწყისზე... თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგები ვინ გყავდათ?

— აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ანტონ თაბაარაშვილი მსახიობის ოსტატობას მიკითხავდნენ. სწორედ ხორავამ აპროცნო ჩემში მომავალი სახასიათო მსახიობი — შმაგას როლი მათამაშა საკურსო სპექტაკლში „უდანაშაულო დანაშავენი“.

— და ფიქრობთ, რომ სახასიათო მსახიობი ხართ?

— ალბათ, კი. თუ რაიმე შემეძლო, მართლაც ასეთ როლებში გამოვამეძღავნე, სოხუმში, მაგალითად...

— სოხუმშიც მოღვაწეობდით?

— სოხუმში? სოხუმი იყო, რაც იყო... ჩემი ჯგუფელებიდან ბევრი იქ გაანაწილეს, მე მარჯანიშვილის თეატრში მტოვებდნენ, ჩავაცილე მეგობრები სოხუმში და რეჟისორმა იური კაკულიამ მთხოვა: თუ გინდა, დარჩი ჩვენთან, მარჯანიშვილის თეატრში ვასო გოძიაშვილთან, სანდრო ეორეოლიანთან, აკაკი კვანტალიანთან, ასეთ „ლომებთან“, შენ რა უნდა გამოჩნდეო. მეც, ავდექი და დავრჩი... მშობლებიც ნებას დაპყვნენ...

მომცეს, მაგრამ რა როლები მომცეს სოხუმში: ტიტიკო — „გაზაფხულის ღიღაში“, ტრუფალდინო — „ორი ბატონის მსახურში“, ზურიკელა — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“, პატარა კახი — „პატარა კახში“, ველოსიპეტკინი — „აბანოში“, პალტე თაკანაძე — „ქართლის ჩიტაღდნებში“ და კიდევ ბევრი. ექვს წელიწადში ოცამდე როლი ვითამაშე.

— ეს — მარტო იური კაკულიასთან?

— არა, ბატონო.. ვასო ყუშიტაშვილთან, გიორგი ჟურულთან, რეზო მირცხულავასთან, ლეო ჭელიასთან... ჯერ მარტო ყუშიტაშვილთან მუშაობა რად ღირდა?! ახლაც, როცა ახალ როლს ვეცნობი, წარმოვიდგენ, — როგორ დამარიგებდა თავისებურად, ბატონი ვასო, — ჩემი უსაყვარელესი რეჟისორი...

— ბოლოს, მაინც თბილისმა „გადმოგძლიათ“, არა?

— რას იზამ, „ცენტრს“ მიზიდულობის ძალა აქვს, მაინც მეტ გასაქანს იძლევა... რუსთაველის თეატრში გადმომიყვანეს.... სერგო ზაქარიაძემ მითხრა, სოხუმის ხანა ჩაბარდა ისტორიას, აწი სხვა ამბები იწყებაო და ...მგონი მართლაც ასე მოხდა...

* * *

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბორის წიფურია გახლავთ ჩემი თანამოსაუბრე. ჩვენ აბაშიდან ვბრუნდებოდით. იქ, კონსტანტინე გამსახურდიას სამშობლოში, დიდი მწერლის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი სწორედ ბორის წიფურიამ დადგა. კმაყოფილი იყო, ვატყობდი ერთი სული ჰქონდა, როდის შევუქებდით დღესასწაულს, რომელიც მართლაც შესანიშნავი გამოდგა.

ასეთია. თუ ზოგი შექებას ნიღაბქვეშ მოაქცევს, ვითომ ეგ არაფერია, ბორისს პირიქით, ბავშვად აქცევს. მახსოვს კინოსტუდიაში რა დღეში იყო მეწისქვილის სახე გულწრფელად რომ მოუწონა ყველამ „დათა თუთაშხიას“ განხილვაზე.

იმ დღეს, რა თქმა უნდა, ფილმის დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძეც გამოვიდა. თითქოს დღევანდელი წერილისათვის შემომინახავს უბის წიგნაკში ყოველივე, რაც იმ დღეს ბორის წიფურიაზე ჩვენმა სახელოვანმა რეჟისორმა თქვა. აბა, მოისმინეთ: „დამეთანხმებით, რომ ფილმში ერთ-ერთი ბრწყინვალე სახე შექმნა ბორის წიფურიამ. მისი მეწისქვილე სრულიად განსხვავებულია იმ როლებისაგან, რომლებიც ეკრანზე აქამდე შეუქმნია ამ უაღრესად ნიჭიერ მსახიობს. მე ვთვლი, რომ ეს არის აქტიორული ხელოვნების, გარდასახვის ხელოვნების ნიმუში“.

მეწისქვილე ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია მსახიობისა. ეს — ეკრანზე. კარგა ხანია, ბორის წიფურია თავის ნიჭსა და უნარს სწორედ კინემატოგრაფს აზმარს: ძიბო — „ვერის უბნის მელოდიებში“, ჯოკა — „მთვარის მოტაცებაში“, სელიმი — „მზიანში“, ციხის უფროსი ხუტა — „შერეკილებში“... ჩემი აზრით ეს საუცხოო როლებია, მათში არა გარეგნული ეფექტები, არამედ ხასიათი, სიტუაციები ძერწავს გმირებს. მოგეხსენებათ, ზოგი ამ როლებიდან ეპიზოდურია, და მაინც რარიგ გვამახსოვრებს თავს მსახიობი.

რუსთაველის თეატრის სცენასაც ერთობ მოერგო მსახიობი. ჩინჩახოვი („ეზოში ავი ძაღლია“), წიკლაური („მზიანი ღამე“), ხოშენკო („სიმღერა შევარდენზე“), ლომკაცა („კოლმეურნის ქორწინება“), ჟონა („ანტიგონე“), კოკი („თუთარჩელა“), ჰიპიკო გოგოლი („საბრალდებო დასკვნა“)— ცხადყოფენ მსახიობის ნიჭსა და შესაძლებლობებს.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა თეატრი, რომელიც ბორის წიფურიამ შექმნა და ათი წლის მანძილზე მშვენიერი სპექტაკლებიც დადგა სტუდენტთა ძალებით. ამ ბოლო დროს კი ბევრნი დავსწრებივართ თბილისში თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ ზეიმობა-სანახაობებს, რომელთა დამდგმელი რეჟისორი ბორის წიფურია გახლავთ. ვინც მას კარგად იცნობს, ვისაც მისი ჯაბუკური სილაღე უნახავს, გაიხარა კიდეც, როდესაც ბორშან ბორის წიფურია საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა.

ახალგაზრდული გულისა, ახალგაზრდულ საქმეებთან წილნაყარი, კიდევაც იყო ამ საპატიო ჯილდოს ღირსი.

...ამ საღამოს კიდევ ბევრი ვისაუბრეთ გზაში. კკითხე, მაგალითად, რეჟისურაში უკვე გაწაფული ხართ და ხომ არ გიფიქრიათ თვითონ დადგათ-მეთქი ფილმი.

— კარგა ხანია ვფიქრობ მაგას, — მიპასუხა, — ოღონდ ასე ერთბაშად ვერ ვიკისრებ... კინორეჟისორობა მაინც სხვაა... რეზო ესაძე მალე ახალი ფილმის გადაღებას დაიწყებს და მასთან მინდა ვიყო მეორე რეჟისორად. მერე, ვნახოთ... სხვათა შორის, სადაცაა ეკრანებზე გამოვა ესაძის „წისქვილი“. ჩემი აზრით, საინტერესო ფილმია. იქ ერთ-ერთი მთავარი როლი მაქვს, ნახავთ ალბათ...

— მხატვრული კითხვა თუ გიცდიათ?

ხუმრობს თავისებურად: — ვიცი, როგორ წავიკითხო, მაგრამ... ზოგიერთივით, ცოტა შესახედაობაც რომ მოეცა ღმერთს... აბა მოისმინე?... „დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!“.. როგორია?..

სადაც ბორის წიფურია გაერევა, იქ სიცოცხლე ჩქეფს, სიცილ-ხუმრობა არ ილევა, ჭირი და ლხინი უიმისოდ ვერ წარმოუდგენიათ მეგობრებს, რომლებიც უამრავი ჰყავს მთელ საქართველოში. და იქნებ მისი ორმოცდაათი წელიც გაუკვირდეთ, მაგრამ ასეა. და მოდით, ცხოვრების ნაშუადღევს, ახალი წარმატებები ვუსურვოთ ნიჭიერ ხელოვანს!

ვილენ მარდალეიშვილი.

საოპერო ხელოვნების დღესასწაული

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის VI პლენუმი. სტუმრებმა მოისმინეს ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. ნახეს საოპერო თეატრის ახალი დადგმა რ. შტრაუსის „სალომე“, რომელმაც საერთო აღტაცება გამოიწვია. გთავაზობთ სტუმართა რამდენიმე ინტერვიუს ამ სპექტაკლის გამო.

მიხეილ დრუსკინი.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

რიხარდ შტრაუსის „სალომეს“ დადგმა თბილისის საოპერო თეატრში თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს კულტურული ცხოვრების ფარგლებს. ეს არის მომღერლებისა და ორკესტრის დიდი მიღწევა. ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ დავინახეთ ჯანსუღ კახიძის უზარმაზარი ტალანტი, რომლის ნებისყოფამ და ტემპერამენტმა შესრულების მაღალი დონე განაპირობა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ დირიჟორმა ბრწყინვალედ გაიაზრა ამ ოპერის დრამატურგია, რომელიც ერთ-ერთი ურთულესია კომპოზიტორის მდიდარ მემკვიდრეობაში.

ვსევოლოდ ზადერაცკი.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მუსიკათმცოდნეობისა და მუსიკალური კრიტიკის კომისიის თავმჯდომარე

შთაბეჭდილება „სალომემ“ რომ მოახდინა, განეკუთვნება უძლიერეს, დაუვიწყარ, სრულიად განსაკუთრებულ შთაბეჭდილებათა რიგს.

რიხარდ შტრაუსთან შეხვედრა თბილისში, ასეთი მოულოდნელი და ასეთი სერიოზული რომ აღმოჩნდა თავისი საბოლოო შედეგით, აშკარად მეტყველებს საქართველოში საოპერო ხელოვნების ახალ მდგომარეობაზე.

უწინარესად მინდა გამოვყო განსაკუთრებული ნიჭის მქონე მუსიკოსი—დირიჟორი ჯანსუღ კახიძე. იგი უდიდესი არტისტი, უდიდესი ხელოვანია. რასაც მან ამ სპექტაკლში მიაღწია, ეს მართლაც გასაოცარია. შესანიშნავია ყველა, ვინც მას მხარში ედგა. მომღერლები უკლებლივ თავის სიმაღლეზე არიან. მაგრამ სალომე — ცისანა ტატიშვილი, მართლაცდა, დაუვიწყარია! ასეთი შთაბეჭდილება ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. ნოდარ ანდღულაძის უმაღლესი კლასის ხელოვნება უნიკალურია. ის ფაქტი, რომ თბილისის საოპერო თეატრმა რიხარდ შტრაუსს მიმართა, ჩემი აზრით, შემთხვევითი არ არის — თქვენს ქალაქში ხომ მისი შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი გავი ორჯონიკიძე მოღვაწეობს. ვფიქრობ, მისი დამოკიდებულება ერთგვარად გამქღავნდა სპექტაკლის შთლიან ეფექტში.

თეატრის ეს ნამუშევარი ჩვენი დროის საოპერო ხელოვნების იმდენად თვალსაჩინო მიღწევაა, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, იგი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გატანას იმსახურებს.

ალექსი კანდინსკი.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პროფესორი

რ. შტრაუსის ოპერა უდიდეს მოთხოვნებს უყენებს მთელ კოლექტივს — ფუსიკალურ-სცენური ანსამბლის თვალსაზრისით, და ეს ანსამბლი სახეზეა. დირიჟორის, ორკესტრის, მომღერლების შეხმატკბილებამ, სპექტაკლის მშვენიერმა გაფორმებამ —მხატვრული და რეჟისორული გადაწყვეტის ლაკონიურობამ და მთლიანობამ, შესანიშნავი ჰარმონია შვა. პარტიტურის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესია ამ ოპერის დადგმისას და, ვფიქრობ, ჯანსუღ კახიძემ ბრწყინვალედ სძლია იგი. დირიჟორი ჩინებულად გადმოსცემს შტრაუსის მუსიკის გასაოცარ სიმდიდრეს, აღწევს ეროვნულობის გრანდიოზულობას და ემოციურ სიმძლავრეს. მეტისმეტად ძნელი და რთულია უზარმაზარი ორკესტრისა და ვოკალუ-ტერი პარტიების ბალანსირება შტრაუსის ოპერებში. და ეს ბალანსიც ნაპოვნია, რაც დირიჟორთან ერთად, შესანიშნავი მომღერლების დიდი დამსახურებაც არის. ცისანა ტატიშვილი და ნოდარ ანდღულაძე მსოფლიო კლასის მომღერლები არიან. მათთან ერთად აღვნიშნავ ყოველ მსახიობს, რომელთა მეშვეობითაც ოპერა მთელი თავისი მეფური სიდიადით წარმოგვიდგა.

ლარისა დანკო.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი

„სალომე“, რომლის ნახვაც წელად გვხვდა, ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ჭეშმარიტი ტრიუმფია. ის, რაც ჩვენ ვიხილეთ და მოვისმინეთ, ბრწყინვალე ზეიმია იმათთვისაც, ვინც ოპერის თეატრის მუდმივი მაყურებელია, და იმათთვისაც, ვინც აუცილებლად მოვა თეატრში, როცა გაიგებს, რა ოსტატობას, შესრულების რა სრულყოფას მიაღწია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა. ეს ჭეშმარიტად უნიკალური დადგმაა!

მე დამატყვევა ჯანსუღ კახიძის ოსტატობამ, რომელმაც ასე დიდებულად წაიკითხა რიხარდ შტრაუსის ოპერის ურთულესი პარტიტურა. მშვენიერია ყველა შემსრულებელი; გამორჩეულად კი — ნოდარ ანდღულაძე და ცისანა ტატიშვილი.

ალექსანდრე უტეშევი.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე

თბილისში ჩვენ ნამდვილი აღმოჩენის წინაშე დავდექით. გზა ამ აღმოჩენისაკენ, ალბათ, რთული და ხანგრძლივი იყო, შედეგი კი ბრწყინვალეა. ძნელია დარჩე გულგრილი ამ დადგმის მიმართ; თბილისის თეატრმა მიაგნო ყველაზე მნიშვნელოვანს — ეს არის გმირთა გრძნობების გადმოცემის ის გულწრფელობა, რომელიც უშუალოდ მუსიკიდან გამომდინარეობს.

ამ სპექტაკლში ჩემთვის პირველ ადგილზე მუსიკალური მხარეა, თუმცა შეუძლებელია გამოვყოთ მისგან სცენური გადაწყვეტა. სპექტაკლში შეიკრა თანამოაზრეთა ანსამბლი.

მთელი სპექტაკლის მანძილზე იგრძნობოდა ერთიანი ძარღვის ფეთქვა, რომელიც იმორჩილებდა ორკესტრს, ანსამბლებს, სოლისტებს, აღანთებდა მათ ერთიანი აზრით.

ჩვენი საუკუნე მდიდარია საშემსრულებლო ტალანტებით, მაგრამ ის, რისი მოწმენიც აქ გავხდით, მართლაც გასაოცარია. უმაღლესი, მსოფლიო კლასის ხელოვნება გამოამეღავნეს ნოდარ ანდღულაძემ და ცისანა ტატიშვილმა.

...რ. შტრაუსის მუსიკალური დრამატურგიის ერთ-ერთ არსებითს პრინციპს — სახე-სიმბოლოების სიმფონიურ განზოგადებას იზიარებს. აქედან გამომდინარე, ფერი და განათება სპექტაკლში ისეთსავე დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებს, როგორც ლიტთემა და ლაიტმოტივები.

რეჟისორმა **გ. მელითონ** „სალომეს“ ერთად, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საოპერო სპექტაკლი შექმნა. ქართული საოპერო სცენისათვის ეს სპექტაკლი უჩვეულოა თავისი მიზანსცენებით, ორკესტრის განლაგებით, მოქმედების სივრცისა და სიბრტყის გადაწყვეტით, მომღერალთა სოლო სიმღერის ინტენსიფიცირებისათვის მოძებნილი წერტილებით, გმირების სცენური სიცოცხლით. აშკარაა, რომ რეჟისორი მიზანდასახულად მიდიოდა იქითკენ, რათა მუსიკისა და სცენის ყველა საშუალებათა სინთეზით საოპერო საშემსრულებლო სახის რეალური სცენური სიცოცხლე შეექმნა.

ოპერა „სალომე“ რეჟისორის ფანტაზიის დიდ გასაქანს აძლევს. მაგრამ იგივე რ. შტრაუსი XX საუკუნის ახალი სტილის საოპერო დრამატურგიის ფუძემდებელი, „სალომეში“ რეჟისორს გარკვეულ პირობებს უყენებს. შემთხვევით არ უწოდებენ „სალომეს“ მონოდრამას. აქ სალომეს პარტია ის მთავარი ღერძია, რომლის ირგვლივ ტრიალებს და მოქმედებს სხვა პერსონაჟთა სიცოცხლე, ორკესტრი, სცენოგრაფია, რეჟისორული ძიებები. აქ ყოველი დეტალი დრამატურგიულად გამიზნული უნდა იყოს. ამ კონტრაპუნქტში საკმარისია ერთ-ერთი მხარე მდარე ხარისხის აღმოჩნდეს, რომ სპექტაკლს ჩრდილი წამოადგეს და დასანან მომენტად იქცეს. ამგვარი ჩრდილი სპექტაკლს სალომეს ცეკვის ქორეოგრაფიულმა გადაწყვეტამ მიაყენა. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სპექტაკლი იმდენად მაღალხატოვან სამყაროს ქმნის, რომ იგი თვით „განდევნის“ ზედმეტ დეტალებს. მით უფრო, რომ სპექტაკლის დახვეწის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს მისი შექმნის პირველი დღიდან.

რეჟისორული ჩანაფიქრის ერთ-ერთ საინტერესო მხარედ მიმაჩნია რ. შტრაუსის სიმფონიზმის სცენური ადაპტაცია და მუსიკის სცენური სიცოცხლის გამჭოლი განვითარების ფიქსირება მაშინაც კი, როდესაც გარეგნულად თითქოს, მოქმედება ამის საშუალებას არ იძლევა. ამ დროს მაყურებლის წინაშე (რომელიმე გმირის, ან მოქმედ პირთა ჯგუფის (გავიხსენოთ ებრაელთა კვინტეტის კამათი) ხასიათი მოქმედებს. მათი ინტერესების დაპირისპირება ან ჰარმონია შინაგანად გააზრებული და ხილული ხდება. სპექტაკლის ორიგინალურ გადაწყვეტაზე ბევრი სხვა მხარეც მიგვანიშნებს, მათ შორის სცენის სტრუქტურაც.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე „სალომე“ ისეთი სპექტაკლი გამოვიდა, რომელიც თავიდან ბოლომდე დიონისეურ საწყისებზეა აგებული და სულის მოთქმის საშუალებას არ გვაძლევს. იგი გნუსხავს, გაოცებს, გაღელვებს და მსმენელ-მაყურებელს კამათისა და განსჯის ფართო ასპარეზს უქმნის.

ნანა ქავთარაძე.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

საუკეთესო მნიშვნელოვანი ლობის სპექტაკლი

მთავარი მოქმედი ძალაა, საოცრად ექსპრესიულ, მაღალი ძაბვით დამუხტულ ემოციურ ველს რომ ქმნის. ამ ველს თავისი დინამიკა, რიტმული სტრუქტურა, თემა-სიმბოლოების, ტემბრებისა და ემოციური საწყისების დრამატურგია აქვს. ის ხან ნაწევრდება, ხან მთლიანდება და მუსიკის ცოცხალი შესრულების მაჯისცემას გვაღელვებს. ჯ. კახიძე ამ მაჯისცემის, ამ აღზევებულ ბგერათა სტიქიის დიდებული მესანი და მესაჭეა. ის თვით არის „თეატრი თეატრში“ და ოდნავადაც გადაჭარბებულ არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დირიჟორის არტისტულმა ელვარებამ, მისმა უზადო ნიჭმა, „სალომეში“ სრულიად ახალი მასშტაბი შეიძინა.

ხშირად აღნიშნავენ ჯ. კახიძის სტილის დამახასიათებელ ვოკალურ ბუნებას. რ. შტრაუსის პარტიტურაში დირიჟორის ეს თვისება გარკვეულ როლს ასრულებს. „სალომეში“ ორკესტრის ლიდერობა და სიმფონიურობა მასშტაბი ვოკალის ინტონაციურ დამოუკიდებლობას არ გამორიცხავს. ჩვენი ყურადღება პარტიტურის ამ თავისებურებისადმი დირიჟორის ფრთხილმა დამოკიდებულებამ მიიპყრო. ჯ. კახიძემ ვოკალისა და ორკესტრის „გამქოლი“ და ფონური ეპიზოდების თანფიგარდობის განსაკვიფრებელი დიალექტიკა შექმნა. გავიხსენოთ ჰეროდეს წინათგრძნობის სცენაში („უნდა მოხდეს რაღაც სიშინელეა“) ნერვული დაძაბულობისა და მოლოდინის განგაშის ორკესტრით ჰიპერბოლიზება, ტემბრების ფერთა სიუხვით შექმნილი ალმოდებული გრძნობების ექსტაზი სალომეს ცეკვაში, „მიყუჩებული“ ორკესტრით ფსიქოლოგიური ქვეტექსტების გახსნა სალომეს არიოზულ ეპიზოდებში და პირიქით, ექსპრესიულ კულმინაციებზე თავდავიწყების სავსე მორევში გადაშვებული სალომესა და ორკესტრის „შმაგ დუელი“.

ც. ტატიშვილი — სალომე სრულიად ახალი მოვლენაა ქართულ საოპერო სცენაზე. მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმის, სირთულის, ექსპრესიისა და სიმფონიური მასშტაბის პარტია არც ერთ, თაობის ქართველ მომღერალს არ შეუსრულებია. გ. მალერს უთქვამს: „სალომე“ საოცრად. გენიალური ქმნილებაა... აქ უზარმაზარი ნავის ქვეშ ვულკანი, მიწისქვეშა ცეცხლი გიზგიზებს, მოქმედებს და არა უბრალო ფიიერვერკი“.

ც. ტატიშვილი-სალომეს სული, მართლაც რომ, ვულკანურ ენერგიას აფრქვევს, გვზარავს და გვიტაცებს მისი ენებების წამლეკავი ძალა, დიაპაზონი, როგორც გაშლილია იოქანაანთან პირველი შეხვედრის სცენიდან მის მოკვეთილ თავთან შემაძრწუნებელ მონოლოგამდე. ც. ტატიშვილის სალომე ქართულ პოეზიაში გალაკტიონის მიერ წარმოსახულ გეტერას მაგონებს: „ჰანგი, შექმნილი ღვთის დასაგმობად და დაშვებული სინანულამდე“.

ზღვარდაუდებელია ც. ტატიშვილის ხმის შესაძლებლობები. იგი „სატანის ქნარს“ ჰგავს, ორკესტრის სიძლიერესა და ფერთა სიუხვეს რომ ეჯიბრება და შარავანდედად ეფინება. მისი ხმის დიაპაზონი, მოქნილობა, სილამაზე, დინამიკა და ინტონირების ოსტატობა „სალომეში“ ახალ ხატოვან თვისებებს ძიებს. ეს პარტია ქართველი მომღერლის შემოქმედების მწვერვალია, სადამდეც იგი გერმანელ რეჟისორთან ვ. ფელზენშტაინთან „აიდაზე“ მუშაობის გამოცდილებამ და შემდეგ ვაგნერის ოპერებში ჰერტრუდასა და სენტას პარტიებში შეძენილმა ახალმა თვისებებმა მიიყვანა.

„სალომეს“ ვოკალური სტილის თავისებურება ჩვენს მომღერლებს განსაკუთრებულ პიროდიაპაზონი, მოქნილობა, სილამაზე, დინამიკა და ინტონირების ოსტატობა „სალომეში“ ახალ ხატოვან თვისებებს ძიებს. ეს პარტია ქართველი მომღერლის შემოქმედების მწვერვალია, სადამდეც იგი გერმანელ რეჟისორთან ვ. ფელზენშტაინთან „აიდაზე“ მუშაობის გამოცდილებამ და შემდეგ ვაგნერის ოპერებში ჰერტრუდასა და სენტას პარტიებში შეძენილმა ახალმა თვისებებმა მიიყვანა.

„სალომეს“ ვოკალური სტილის თავისებურება ჩვენს მომღერლებს განსაკუთრებულ პიროდიაპაზონი, მოქნილობა, სილამაზე, დინამიკა და ინტონირების ოსტატობა „სალომეში“ ახალ ხატოვან თვისებებს ძიებს. ეს პარტია ქართველი მომღერლის შემოქმედების მწვერვალია, სადამდეც იგი გერმანელ რეჟისორთან ვ. ფელზენშტაინთან „აიდაზე“ მუშაობის გამოცდილებამ და შემდეგ ვაგნერის ოპერებში ჰერტრუდასა და სენტას პარტიებში შეძენილმა ახალმა თვისებებმა მიიყვანა.



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

სურათზე: გვირაბგამყვანი, „კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშნი მანარგია.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გ. ვ. კოლბინს მისი ქალიშვილის ნატალია ბენედიქტეს ასულ კოლბინა-დუდაკინას გარდაცვალების გამო.

კარიკატურისტის კომენტარი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების მიხედვით.

განცხადების თემაზე.

ი. ყეინაშვილის ნახ.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

მცირე შესვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. მოსკოვში ასპარეზობაში ჩაებნენ ცხენოსნები, ლვოვში კი მაგიდის ჩოგბურთის ოსტატები.

ცხენოსნებმა პირველ დღეს სამანეჟო სვლაში (სამჭიდა) ციპარეზეს. ამ სახეობაში დაწინაურდნენ ვ. ვიტჩაკი (რსფსრ) — 65,7 საჯარიმო ქულა, მ. მურსალიმოვი (ყირგიზეთი), — 69,0 და ვ. შაპარი (უკრაინა) — 70,5.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი შეჯიბრების პირველ ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: **ვაჟები.** ბელორუსია-უკრაინა — 2:5, ტაჯიკეთი-უზბეკეთი — 5:0, მოლდავეთი-სომხეთი — 0:5, საქართველო-აზერბაიჯანი — 0:5, ესტონეთი-ლატვია — 5:1; **ქალები.** სომხეთი-ლენინგრადი — 5:1, უზბეკეთი-მოლდავეთი — 5:3, ბელორუსია-აზერბაიჯანი — 5:3, თურქმენეთი-მოსკოვი — 0:5, ტაჯიკეთი-უკრაინა — 0:5.

საფეხბურთო მერიდიანზე

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტურის კიდევ სამი შეხვედრა. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-„ზენიტი“ — 2:1, „უალგირისი“-„სპარტაკი“ — 1:0, მინსკის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“ — 1:1.

პირველი წრის ბოლო ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	16	10	2	4	24-16	22
„უალგირ.“	16	7	7	2	15-10	21
„დინ.“ (მნ)	16	8	4	4	22-15	20
„ფახთაქ.“	16	7	6	3	23-12	20
„ზენიტი“	16	7	5	4	19-14	19
„დნეპრი“	16	7	4	5	24-19	18
„სპარტაკი“	16	6	6	4	25-14	18
„დინ.“ (კ)	16	6	6	4	14-15	18
„ტორპ.“ (მ)	16	5	7	4	15-15	17
„შახტიორი“	16	7	2	7	22-19	16
ცსკა	16	6	4	6	15-16	16
„არარატი“	16	7	1	8	17-25	15
„შეტალ.“	16	6	3	7	17-20	15
„ნეფთჩი“	16	5	4	7	16-19	14
„დინ.“ (მ)	16	3	7	6	13-14	13
„დინ.“ (თბ)	16	4	4	8	16-19	12
„ტორპ.“ (ქ)	16	1	6	9	8-20	8
„ნისტრუ“	16	2	2	12	10-33	6

სატურნირო ორბიტა

უნივერსიადა. კანადის ქალაქ ედმონტონში საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტთა VII მსოფლიო უნივერსიადა. ახალგაზრდობის ამ დიდ სპორტულ ფორუმში მონაწილეობს 94 ქვეყანა. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციებით ჩრდილ წარმოდგენილი სსრ კავშირი, ჩინეთი, კუბა, რუმინეთი, აშშ და კანადა.

ტრიბი. 6 ივლისს სპორტის სასახლეში დაიწყება იუნიორ მოკრივეთა თბილისის მეორე საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც იასპარეზებენ ავღანეთის, ბულგარეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, რუმინეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები. შეჯიბრება დამთავრდება 9 ივლისს.

მშვილდოსნობა. უკრაინის ქალაქ ნოვაია კახოვკაში მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება. ქალთა შორის ლიდერობს დუშანბელი ზებინოსო რუსტამოვა (1289 ქულა), ვაჟებში კი დაწინაურდა ხაბაროვსკელი იოსებ ფაინშტეინი (1309 ქულა).



მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — ფილმ-კონცერტი „მე ცეკვა მინდა“. 10.30 — „მაღვიძარა“. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „ჯანმრთელობა“. 12.45 — დილის ფოსტა. 13.15 — დოკუმენტური ფილმი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — ვ. მაიაკოვსკი — პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. 15.30 — დღეს საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეა. 16.00 — მუსიკალური გადაცემა. 16.45 — მოგზაურთა კლუბი. 17.45 — მხატვრული ფილმი „მეოთხე სიმაღლე“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.15 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ეკრანზეა კინოკომედია. „ულურჯესი ზღვისპირას“. 23.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 00.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კონცერტი. 9.45 — დოკუმენტური ფილმი. 10.35